საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4836/01
27/05/2020

4836-01-2-202005271642

შპს „ტრანზიტ ინდასტრი დეველოპმენტს“
მის: ქ. თბილისი, ნაძალადევის რ-ნი, ზედაზნის ქ. N2, კორპ. 1, ოფისი N2

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 22 მაისის N7612 განცხადება, რომელიც ეხება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, ლარსის სასაზღვრო გამშვები პუნქტის მიმდებარედ, ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართ სადგურში თხევადი საწვავის მიღება-გაცემისთვის იგეგმება სამი 50 $მ^3$ მოცულობის და სამი 20 $მ^3$ მოცულობის მიწისქვეშა რეზერვუარების განთავსება. თუმცა, სკრინინგის ანგარიშში და გენ-გეგმაზე მითითებულია მხოლოდ სამი 50 $მ^3$ მოცულობის რეზერვუარი. რაც საჭიროებს დაზუსტებას.

გარდა ამისა, ანგარიშის მიხედვით, ავტოგასამართ სადგურზე იგეგმება ოთხი ტიპის საწვავის, პრემიუმის, რეგულარის, ევრორეგულარის და დიზელის საწვავის რეალიზაცია. სკრინინგის განცხადება არ მოიცავს ინფორმაციას თუ რა მოცულობის საწვავის რეზერვუარში მოხდება ევრორეგულარის საწვავის განთავსება.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ბენზინგასამართის საკადასტრო საზღვრიდან 25 მეტრში მდებარეობს „ყაზბეგის ეროვნული პარკი“, განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკების და მათი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ, ამასთან განხილული უნდა იყოს საწვავის დაღვრისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, უზრუნველყოთ დაზუსტებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენა სამინისტროში, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ზემოაღნიშნული საკითხები.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე